

დღეღმწა

დეკემბერი
2012



108-3



შობა ქრისტესი

ვ. გორგაძე

თოვლით მოხილ მთების მწვერვალს
შავი ღამის კალთა ჰფარავს;
ტბის მშვიდ ტალღას მიძინებულს
ცის ღიმილი სიხმარს ჰმარავს!...
სძინავს არეს... ღურჯ სივრცეში
ღრუბელთ შორის ცურავს მთვარე.
ცა მკერდს ინთებს ოქროს-ფერად,
მოციმციმე, მოელვარე!...
ჰა, უეცრად ცის გუმბათზე
შეკრთა ნახი ვარსკვლავთ კრება

და ქვეყანას მიახარა
ქრისტე ღმერთის დაბადება.
იშვა ქრისტე... ჩაგრულ სოფელს
მაცხოვარი მოევლინა,
ქვეყნად შვება მოიტანა
და მშვიდობა ცათა შინა.
დღეს შობაა... — ეინულის ქვეშ
მღერის წყარო მაღალ მთისა...
მღერის იგი, და მას ბანით
უხანსებს სიზი კლდისა...

„ნაპადული“, 1913 წ. N12

შობა

ბავშვებს და უფროსებსაც დღესასწაულებს შორის ყველაზე მეტად შობა გვიყვარს. იმიტომ, რომ ამ დღეებში ყველა ეკლესიაშია, არც სკოლაში ვართ წასასვლელები, არც სამსახურში. ვრთავთ ნაძვის ხეს, ჩიჩილაკს, ვჭამთ უამრავ ტკბილეულს – გოზინაყს, კანფეტებს, ვიღებთ საჩუქრებს, ვხალისობთ სტუმრებთან ერთად. იმიტომ, რომ ამ დღეს იესო ქრისტეს დაბადების დღეა.

მაცხოვარი – იესო ქრისტე – ყველასთვის მოდის. თავისი შობით ის აერთიანებს მთელ სამყაროს – ზეცას და მიწას, ანგელოზებს და ადამიანებს; ადამიანთაგან რჩეულ ერსაც და წარმართებსაც მათ, ვინც ნამდვილად ეძებს ღმერთს, განსწავლულ მეცნიერებსა და უბრალო განუსწავლელ მორწმუნეებს. ქრისტე ყოველთვის მოდის მიწაზე, მათ შორის შენთვისაც. იგი 2000 წელზე მეტი ხნის წინ იშვა, მაგრამ შობა არ „დამთავრებულა“. შობა რჩება მარადისობაში, ის მარად, სულ ხდება. რათა შენ, ვინც მრავალი საუკუნის შემდეგ დაიბადე, გახდე მისი მონაწილე, რომ იცნო იესო, რომ თაყვანი სცე მას, და შენი გული ამქვეყნისთვის უცნობი სიხარულით აივსოს, რომ გახდე ღმერთის შვილი და მის სამეფოში მასთან ერთად იმეფო დაუსრულებლად.

როგორ, როგორ უნდა შევიდე მარადისობაში, იქ, სადაც იშვა მაცხოვარი? – იკითხავ შენ.

მარადისობაში შესასვლელი კარი არის ეკლესია. ჩვენსა და მარადისობას შორის დროის უხილავი ფარდაა ჩამოფარებული. დღესასწაულზე დრო ფარდასავით გადაიწევა ხოლმე და ჩვენ შეგვიძლია მიწიდან მარადისობაში შევაბიჯოთ, გავხედოთ შობის არა მხოლოდ დამსწრეები, არა მხოლოდ მაყურებლები, არამედ მისი მონაწილენი. როგორ? ეკლესია არის ის საოცარი ადგილი, სადაც ერთხანეთს ხვდება ზეცა და მიწა, მარადისობა და ჩვენი დრო, ღმერთი და ადამიანი.

და აი, რეკავს სადღესასწაულო ზარები. ის მოგვინოდებს, გვეპატიჟება ღმერთის დაბადების დღეზე. მაცხოვარი მრავალი საუკუნის წინათაც იშვა და ახლაც, აი, ამ წამსაც იშვება, ის ბეთლემში, ბაგაში დაიბადა, მაგრამ ახლა მას სურს, რომ შენი გულის ჯიბეში იშვას. შენც შეგიძლია ღვთისმშობლის მსგავსად, რომელიც ზრუნავდა ჩვილი იესოს გაზრდაზე, გაზარდო ღვთის ძალა შენში, გაამრავლო მაღლი; მართალი იოსების მსგავსად, პატარა იესო დაიცვა ურწმუნოებისაგან და ცოდვისგან, რომელსაც მისი მოკვლა სურს; მოგვების მსგავსად შეისწავლო სამყარო და აღმოაჩინო, რომ სამყაროსაც იგივე ღმერთი აღავსებს, რომელიც შენს გულშია; მწყემსების მსგავსად თაყვანი სცე ღმერთს და გაიხარო მისი ჩვენთან მობრძანებით; ანგელოზების მსგავსად უგალობო შენი კეთილი საქმეებით და შენივე საქმეებით ემსახურო მას.

მხატვარი მამა ჩხანიძე

აი, როგორი ახლობელია მიწისა და ცის შემოქმედი ღმერთი შენთვის.

ღმერთმა ინებოს, რომ შობის ეს საოცარი საიდუმლო შენს გულშიც აღსრულებულიყოს და სიხარული ამ დღესასწაულისა არასოდეს დაგვინწყოდეს. ამინ!

მასალის სრული ვარიანტი იხილეთ „დილის“ საყმაწვილო ბიბლიოთეკის II ნიგზში „ჩვენი სარწმუნოება“.



პირველი შობის ხე

(ლეგენდა)

ყური დამიგდეთ – რა გიამბოთ!..

როცა დაიბადა პატარა იესო და ღვთისმშობელმა ბავშვი ბაგაში თივაზე დააწვინა, ზეციდან მის სანახავად ანგელოზები ჩამოვიდნენ. დაინახეს უბრალო, ღარიბული მღვიმე და ბაგა და დაიწყეს ერთმანეთში ჩურჩული:

– იესოს მღვიმეში, უბრალო ბაგაში სძინავს! ეს შეუძლებელია! უნდა მოირთოს აქაურობა, რაც შეიძლება ღამაზად, მდიდრულად: აქ ხომ თვით ღმერთს სძინავს!

და აი, ერთი ანგელოზი გაფრინდა სამხრეთისკენ, რომ რამე ეპოვა მღვიმის მოსართავად. სამხრეთში მუდამ თბილა და ყვავილები განუწყვეტლად ყვავიან.

ანგელოზმა დაკრიფა სისხლივით წითელი მრავალი ვარდი, თოვლივით თეთრი ზამბახი, მხიარული სუმბული, ნაზი მიმოზა, მაგნოლია, კამელია, მოწყვიტა რამდენიმე მსხვილი ლოტოსი... და ყველა ეს ერთად მღვიმეში მიიტანა.

მეორე ანგელოზი კი ჩრდილოეთისკენ გაფრინდა. იქ იმ დროს ზამთარი იყო. მინდვრები და ტყეები მთლად დაეფარა თოვლს და ერთი ყვავილიც არ მოიპოვებოდა.

დაღონებული ანგელოზი უკან დაბრუნებას აპირებდა, როცა უცბად თვალი შეასწრო ერთ მწვანე ხეს, რომელიც თოვლიდან ნაღვლიანად გამოიციქრებოდა.

მნატვარი
ნუცა ჩაჩანიძე

ანგელოზი შეჩერდა და გაიფიქრა: რა უშავს, რომ ეს ხე ასე სადაა, დაე, ამანაც, ამ ერთადერთმა ჩრდილოეთის მცენარემაც ნახოს პატარა ღმერთი, და თან წამოიღოს ეს თავმდაბალი ჩრდილოეთის ხე, მწვანით მოსილი ნაძვი.

რა ღამაზად, რა საოცრად იცვალა ფერი მღვიმეში, როცა ყვავილებით მოირთო! ანგელოზები გაკვირვებით ჩასცქეროდნენ იესოს და ამბობდნენ:

– სუ, ჩუმად, იმას სძინავს!

პატარა ნაძვის ხე პირველად ხედავდა ამისთანა მშვენიერ ყვავილებს და ნაღვლიანად ამბობდა:

– ოჰ, რაღა ვარ ასე სადა და უღამაზო? რა ბედნიერი უნდა იყვნენ ეს ყვავილები! მე კი ვერ გავაღამაზებ აქაურობას, ამ დიდებული დღესასწაულის დღეს... და მწარედ, მწარედ ატირდა ნაძვი.

როცა ღვთისმშობელმა დაინახა, შეებრაღა ნაძვის ხე და გაიფიქრა: ყველა კმაყოფილი და ბედნიერი უნდა იყოს დღეს; ცოდვას, რომ ეს პატარა ხე ნაღვლიანია...

მან აღერსიანად გაუღიმა პატარა ნაძვის ხეს და ხელი გააქნია...

მაშინ მოხდა სასწაული: ზეციდან ნელა დაეშვა ბრწყინვალე ვარსკვლავი და ნაძვის კენწეროზე დაესვენა. მას თანდათან მოჰყვნენ სხვა ვარსკვლავებიც, და მთლად გაანათეს იგი! უცბად გაშუქდა და უფრო გამხიარულდა მღვიმე!

გამოედგოდა ამ სინათლისგან პატარა იესოს, რომელსაც ბაგაში ეძინა, და გაჩირადდნებულ ნაძვის ხეს მხიარული სიცილით ხელები გაუწოდა! ყვავილები კი გაკვირვებულნი უყურებდნენ ერთმანეთს და ამბობდნენ:

– რა მშვენიერი და რა ღამაზი გახდა ეს ხე, ჩვენ გეჯობია.

ნაძვის ხე კი თავს ბედნიერად თვლიდა!

ამის შემდეგ ყოველ წელს შობას ხალხი თავისი პატარა ბავშვებისათვის ნაძვის ხეს რთავს, მსგავსად იმ პირველი შობის ხისა, რომელიც ნამდვილი ვარსკვლავებით იყო მორთული.




თარგმნა მარიამ
პაატაშვილმა
„ნაკადული“, 1916 წ. N23-24



პიპოს თინები

ახალი წლის ღამეს, როცა დიდ-პატარა სამზარეულოში ფუსფუსებდა, თავგმა პიპომ დრო იხელთა, ოთახში ჩუმად შეიპარა და ნაძვის ხის ქვეშ დაწყობილი, ფერად-ფერად ქალღღებში შეფუთული საჩუქრები თავის სოროში წააცუნცულა.



დააკვირდი მეორე ნახატს და დაითვალე, ოჯახის რამდენი წევრი დარჩა უსაჩუქროდ.



სახალწლო საჩუქრები

ოჯახში ხუთი ბავშვი ცხოვრობს. როგორც ყველა პატარა, ისინიც მთელი წელი სულმოუთქმელად ელოდებოდნენ ახალი წლის მოსვლას და თოვლის პაპის საჩუქრებს, რომელსაც წერილებს უგზავნიდნენ და თავიანთ სურვილებს უთვლიდნენ. სწერდნენ, რომ კარგად იქცეოდნენ, მშობლებს არ აბრაზებდნენ და, რა თქმა უნდა, კეთილმა თოვლის პაპამაც ოცნებები აუსრულა: დილით გაღვიძებულებს საახალწლო წინდებში ჩაწყობილი საჩუქრები დაახვედრა.

შეეცადე, გაარკვიო, რომელი ბავშვი რამდენი წლისაა, ვის რა საჩუქარი შეხვდა და რომელ წინდაში იდო მისი სათამაშო, თუ იცის, რომ:

1. და-ძმებს შორის უფროსი გოგოა, ის 10 წლისაა და საჩუქრად წიგნი მიიღო.
2. ოჯახში ნაბოლარა 2 წლის ქეთია. გოგონას ასაკი ემთხვევა მისთვის განკუთვნილ წინდის ნომერს და ვიცი, რომ თოვლის პაპას თოჯინა სთხოვა.
3. სანდრო 2 წლით უფროსია იმ ძმაზე, რომელსაც საჩუქრად მანქანა ერგო.
4. დათოს საჩუქარი ლუნომრიან წინდაში იდო. იგი ქეთიზე 2 წლით უფროსია.
5. თოვლის პაპამ უფროსის საჩუქარი მარცხნიდან პირველ წინდაში ჩადო.
6. კონსტრუქტორი იმ ბიჭის საჩუქარია, რომლის წინდა მხოლოდ დათოს საჩუქარს ესაზღვრებოდა.
7. მარი 2 წლით უმცროსია დაიკო ანიზე, რომელმაც ქოლგა იხატრა. თოვლის პაპამ მისი საჩუქარი შუა წინდაში ჩადო.



სახელი	ასაკი	საჩუქარი	წინდის ნომერი
სანდრო			
ანი			
მარი			
დათო			
ქეთი			

მხატვარი
როინა შელეგია



წაღარ ხელუბილხენ ახალ წელს საქართველოში

საქართველოში ახალი წლის შემობრძანება მუდამ განსაკუთრებული დღესასწაულია, ამიტომ მასთან დაკავშირებულ რიტუალს ყოველი კუთხე უძველესი დროიდან ტრადიციულად იცავს და ბევრი რამ დღემდეა შემორჩენილი.

ეთნოგრაფიული გამოკვლევები ადასტურებს, რომ ბედნიერი წელიწადის დასაბეგებლად საქართველოს მთელ რიგ რაიონებში სრულდებოდა სხვადასხვა საახალწლო რიტუალი: თოფის სროლა, წმინდა ხით კერაზე ცეცხლის შეკეთება, კერიის გარშემო ლოცვა, ზოგან – საახალწლო ხის, ჩიჩილაკის დამზადება, ასევე მეკვლის არჩევა და ტაბლის შემკობა. საქართველოში საახალწლო ტაბლას, პირველ ყოვლისა, ამშვენებდა ბასილას ფიგურა და მისი კვერები.

ბასილა (ბასილი) არის ნახევრად წარმართული ღვთაება, რომელიც შერწყმულია ქრისტიანული ეკლესიის მოღვაწის, ბასილი დიდის სახელთან. ამ წმინდანის სახელს უკავშირდება აგრეთვე საახალწლო ხე – „ჩიჩილაკი“, რომელიც უმეტესად დასავლეთ საქართველოში იყო გავრცელებული. ნედლი თხილის ჯოხისგან გაკეთებულ ამ ხეს ასობით ბურბუმელა ამშვენებს, რის გამოც მას „ბასილას წვერს“ ეძახდნენ.

როგორც ცნობილია, საქართველოში საახალწლოდ, სხვა რიტუალურ პურებთან ერთად, ცხვებოდა კაცის ფორმის პური, რომელსაც ხალხში ბასილას კვერს ეძახდნენ. მას დებდნენ სამეკვლეო გობზე, ხონჩაზე თუ თეფშზე, რომლითაც მეკვლე შემოლოცვის რიტუალს ატარებდა. ბასილას კვერი აუცილებლად უნდა ეჭამა ოჯახის ყველა წევრს.

ქართლში, როგორც ყველგან, დიდი სიხარულით ელოდნენ ახალი წლის დადგომას. ასუფთავებდნენ და წმენდნენ დარბაზის ყველა კუთხე-კუნჭულს, დარბაზში გაჩაღებული იყო შუაღამოს, იატაკი ფარდაგ-ხალიჩებით ჰქონდათ მოფენილი, კედელთან ფერად-ფერადი აჭრელებული სკივრები იდგა, ბოძებზე ეკიდა თოფ-იარაღი. საახალწლოდ მთელი ჯალაბი მიუჯდებოდა თბილ კერას და ნადიმობდა, კერას წინ ხონჩით „აბრამიანი“ (სხვადასხვა საწვავით შემკული ტაბლა) იდგა, ხონჩაზე ეწყო ღორის თავი, მრგვლად მოხარშული დედალი, ხელადა ღვინო...

დილით ადრე ოჯახის უფროსი გაიტანდა აბრამიანს, სახლს სამჯერ შემოუვლიდა, მერე ბოსელში შევიდოდა და საქონელს მიულოცავდა. დარბაზში დაბრუნებული კერიასთან მივიდოდა, ცეცხლს შეუჩიჩინებდა და როცა ნაპერწკლები ავიდოდა მაღლა, იტყოდა: „ამდენი ხარი, ამდენი ძროხა, ამდენი ღორი...“. მერე ოჯახის წევრებს თაფლით „დააბერებდა“.

კახეთში ოჯახის დიასახლისი ოჯახის ყველა წევრისათვის აცხობდა რიტუალურ პურებს – ბედისკვერს, ბასილას, ვაჟებისთვის – სახრეს, ნამგალს, გუთანს, სახნისს; ქალებისთვის – ჯარას, კრუხ-წიწილას... აცხობდნენ ასევე ფრთიან ჩიტებს, პურებს ვაზისთვის, მიცვალებულისთვის და ა. შ.

ცხრილზე ან ტაბლაზე დააწყობდნენ წვრილ კვერცხებს, ცივად მოხარშულ დედალს, ინდაურს, ღორის თავს, ჩურჩხელას,





გოზინაყს, ჩამიჩს, ვაშლს, ნა-
ზუქებს, რიტუალურ პურებს,
დადგამდნენ ჯამს წყლით,
ღვინით, თაფლით, რომელშიც
პურის დიდ ლუკმებს ჩაყრიდნენ.

ამგვარად გამზადებულ საახალწლო სანოვარს კახეთში „საკვლევარს“ უწოდებდნენ. „საკვლევარი“ უმეტეს შემთხვევაში მზადდებოდა საღამოს, მეორე დღისათვის.

მეკვლე დილით „საკვლევარს“ ანთებულ სანთლებს მიაკრავდა, აიღებდა და გარეთ გავიდოდა. საკვლევარი ორ კაცს უნდა აეღო ხელში. ერთი იტყოდა: „წავიდა ძველი წელი“, მეორე – „მოვიდა ახალი წელი“. ამ დროს თოფებს ისროდნენ, თან ამბობდნენ: „ცუდი წელი წავიდეს, ახალი წელი მოვიდეს“. თოფების სროლით ავი სულების განდევნას ცდილობდნენ. მეკვლე მოივლიდა ყველა სამეურნეო ნაგებობას, ყველას და ყველაფერს „მიუკვლევდა“ – მიულოცავდა, ხარის ზურგზე კვერცხს გადაატარებდა და იტყოდა, ასე გაჭედილი, ასე სავსე იყავიო.

ახალი წლის მეორე დღიას მთელ საქართველოში „მეკვლის“ დღეს, ანუ ძველებურად, „ფერხვაობას“ უწოდებენ. მეკვლე „ფეხბედნიერს“ ნიშნავს. ის გამთენიისას პირველი უნდა მივიდეს მასპინძლის სახლში და რაც იმ წელს სიკეთე ან ცუდი ამბავი მოუვა ოჯახს, მეკვლის ფეხზეა დამოკიდებული.

გურიაში ახალ წელს ძველთაგან კალანდას ეძახდნენ. გათენდებოდა თუ არა, კაცები გადიოდნენ გარეთ, ქალები კი სახლში ლოცულობდნენ, შესთხოვდნენ ღმერთსა და ბასილას, რომ ახალ წელს მათთვის ბედნიერება მოეტანა. ლოცვის შემდეგ კაცები ბრუნდებოდნენ. უფროსს მოჰქონდა ჩიჩილაკი და ღომის მარცვლით სავსე ქოთანო. ორჯერ შემოუვლიდა ოთახს, მიმოაბნევდა ღომის მარცვლებს, შემდეგ იწყებდა ლოცვას.



ახალი წლის მეორე დღეს გურიაში „ქათმის ფერხვა“ ეწოდებოდა. ოჯახში მოვიდოდა „მფერხავი“ – მეკვლე. შევიდოდა საქათმეში და „უფერხავდა“. იმ კუთხეში გავრცელებული რწმენის მიხედვით, მფერხავის თვისებებზე იყო დამოკიდებული მთელი წლის მანძილზე არა მარტო ქათმებისა და, საერთოდ, შინაური ფრინველის, არამედ მთლიანად ოჯახის კეთილდღეობაც.



(გაგრძელება
მე-18 გვერდზე)



შეჯემოთის სტუმრობა
ნუ გგონია ხუმრობა



როდის მოვა თოვლის ჰავა



მაშინ, როცა დეკემბერი წავა,
გზას დაუთმობს იანვარს და თოვას,
ზატარებო, ახალი წლის დამეს,
თოვლის ჰავა საჩუქრებით მოვა.
შველაფერი დაუჯერეთ მშობლებს,
სწავლით გული გაუხარეთ, თორემ,
თოვლის ჰავა ურჩ და ზარმაც ბავშვებს,
დამიჯერეთ, უსახუქროდ ტოვებს.

მხატვარი
ელენე პარამაშვილი

გიგუს და დათას წერილი ცას

ზატყვემულო ცაო,
მოგმართავთ დიდი თხოვნით:
გამოკვივ ზავნეთ ბავშვებს
მონატრებული თოვლი!
ნუ მოიძარჯვებთ საცერს,
დაუშვით ფთილა-ფთილა,
სამი დღე-ღამე ბარდნოს,
ოღონდ, იუავით ფრთხილად, –
არ შეერიოს წვიმა,
ცაო, თოვლ-ჭეაზით, აბა,
რას ვიკუნდავებთ ან რა
თოვლის ბაბუას დავდგამთ?!
წერილს ხელს ვაწერთ ქვემოთ
ძმები – გიგუს და დათა,
რომ შეგაწუხეთ თხოვნით,
დედიკოსთან ნუ გავკუთქვამთ!



ქალიან, ძალიან შორს, ერთ უღრან და დაბურულ ტყეში ყველა სულიერი მოუთმენლად ელოდა 31 დეკემბრის შუაღამის მოახლოებას. სასწაულისა და საჩუქრების მოლოდინში ციყვებს, მაჩვებს თუ დათვებს ისევე გამაღებით უცემდათ გულები, როგორც პატარა გოგო-ბიჭებს სხვევიათ ხოლმე. განსაკუთრებით დელავდა სულ ციცქნა ზღარბი, სახელად ფითქო. ხუმრობა ხომ არ იყო, პირველად უნდა შეხვედროდა უცნაურ სტუმარს, აი იმას, დიდ-პატარა ახალ წელს რომ ეძახდა.

ფითქო მართლაც თოვლივით ფითქინა გახლდათ, ზურგზე თეთრი და რბილი ეკლები შვენოდა. ამიტომაც შეარქვა ერთმა ონავარმა ციყვმა ფითქო და დანარჩენებმაც აიტაცეს.

საახალწლო სამზადისი ტყეში, ჩვეულებისამებრ, წინასწარ დაიწყეს. არ ვიცი, დათვმა იზარმაცა, ღომმა თუ მგელმა, მაგრამ ბოლო დღისთვის მაინც შემორჩათ საფუსფუსო – გოზინაყი იყო მოსამზადებელი, დიდი, უზარმაზარი გოზინაყი, ტყის ყველა ბინადარს რომ შეხვედროდა. თან, თუ დათუნია მადას გავითვალისწინებთ... ამოდენა გოზინაყის მომზადება არ უნდა ყოფილიყო იოლი საქმე.



მხატვარი
როენა შელგია

ჰოდა, შუაგულ ტყეში აგიზგიზდა უშველებელი კოცონი, მასზე რის ვაი-ვაგლახით შემოდგეს ასევე უშველებელი ქვაბი. სოროებიდან, ბუდეებიდან და ბუნაგებიდან მოზიდული თხილ-კაკალი ერთიმეორის მიყოლებით ცვი-ოდა გაგარვარებულ თაფლში, რომელსაც უსაშველოდ გრძელტარიანი და მძიმე ციცხვით ძლივძლივობით ურევდნენ ცხოველები. განსაკუთრებით ციყვები აქტიურობდნენ, თან თავიანთი სიმარჯვის ქებით დათუნიას თავს აბეზრებდნენ. ბოლოს დათვამაც დაკარგა მოთმინება და გადაწყვიტა, ჭკუა ესწავლებინა ამ ბაქიებისთვის: სულ ერთი წუთით შეუშვა ტორი ციცხვს, გამოეცალა ქვაბს და ღიმილიანი სახით შორიდან დაუწყო ყურება კოვზის ტარიანად ჰაერში აფარვატებულ ციყვებს, რომლებიც განწირული გაჰყვიროდნენ, გვიშველეთო.

ეს იყო და ეს, ხმა აღარ ამოუღიათ კუდფუმფულა ონავრებს, არც ბაქიაობის სურვილი გასჩენიათ. სამაგიეროდ ახლა ფითქოს გაეხსნა მადა: ჩუმად გამოეპარა სოროში მოფუსფუსე დედის და დიდი მცდელობის შემდეგ, როგორც იქნა, ციცხვის ტარზე მოახერხა შესკუპება.

გაიხარა, მაგრამ რა გაიხარა, თანაც, ხალხური ანდაზისა არ იყოს, მადა ჭამაში მოდისო და, ფითქოსაც მეტი მოუნდა: დაიუინა, გინდა თუ არა, ციცხვის თავში უნდა მოვექცეო; ბობღვა-ბობღვით კი მიაღწია სასურველ ადგილს, არც აღშფოთებულ ციყვებს უგდო ყური და არც მაჩვენებელს გაუგონა რამე, ის კი არა, დათუნიას ბრაზიანი მზერაც არად ჩააგდო. გონს მხოლოდ მაშინ მოვიდა, როცა ქვაბიდან ამოსული ოხშივარი უსიამოვნოდ მიელამუნა თოვლივით ფითქინა სახეზე.

– ვაიმე, ჩავარდება! – აყვირდნენ ციყვები და შიშისგან ყველამ ერთად გაუშვა ციცხვს თათი. ფითქო უფრო მეტად გადაექანა გაგარვარებული ქვაბისკენ, ცოტაც და...

დაზაფრულმა ციყვებმა ძლივს გაბედეს თვალებზე აფარებული თათებიდან გამოჭყეპა და შვეებით ამოისუნთქეს: დათუნიას ბუხუნა ტორში უსუსურად მობუზული ფითქოს დანახვაზე ტაშიც კი შემოჰკრეს.




მართალია, უყურადღებოდ დარჩენილი გოზინაყი ამასობაში ქვაბმა ცოტა მიიწვა, მაგრამ ამას ვინდა ჩიოდა.

ციყვებმა ლამაზად დაჭრილი გოზინაყი მუხის ფოთლებზე დააწყვეს, სუფრასთან მისი მიტანა კი ტყის ყველაზე პატარა და ჯიუტ ბინადარს, ფითქოს მიანდევს, თან ყოველ ჯერზე ახსენებდნენ, რაც შენი საქმე არ არის, იმაზე თავს ნუ გამოიდებო.



ვისწავლოთ საცვა

1. თოვლის პაპის ხატვა დაიწყე წვერით;
2. ახლა სახე, ქუდი და ხელები მიუმატე;
3. შეეცადე, შეავსო ფიგურა: პაპას სჭირდება ჯოხი, აკლია მეორე თვალი, ულვაში და ფეხსაცმელი;
4. ახლა კი სცადე, სუფთა მინდორზე დახატო იგივე ფიგურა; ხელში გუდა დააჭერინე, მერე კი გააფერადე.



ფიფქები

რუსუდან კუხაშვილი

რაო?... თითოს რატომ იშვერ გაკვირვებული?... აა! დაგვინახე არა?... შენ გგონია, ბამბა ცვივა ციდან?... მააშ!... ეს ჩვენა ვართ, ბუმბულივით მსუბუქი ფიფქები!... ჩვენ მაშინ გესტუმრებით ხოლმე, როცა გარეთ ყინავს, ცივა, ზამთარია და... სადაცაა ახალი წელიც მოვა!...

მართალია, შენ არ გესმის, მაგრამ იცი, ჩვენ ჩვენი, ფიფქების სიმღერაც გვაქვს და იმიტომაცაა, რომ ასე ბზრიალ-ბზრიალით, ცეკვა-ცეკვით ვეშვებით ციდან...

აბა, ხელები შემოგვიშვირე!... ნახე, როგორი ცივები ვართ?!... რა ვქნათ, ასეთები რომ არ ვიყოთ, უცებ გავდნებოდით და აღარც თოვლი იქნებოდა, აღარც გუნდაობა და აღარც ცივაობა.

ამიტომაც, ძალიან გთხოვ, როცა თოვლში გამოსხვალ, რომ არ გაცივდე, თბილად ჩაიცვი. ჩვენ ყველაზე მეტად ბავშვების გართობა და ჟრიამული გვიყვარს, რადგან ჩვენც ყველაზე მეტად იმათ ვუყვარვართ.

აბა, თბილი ხელთათმანები ხომ არ დაგრჩა?... ყურებიანი ქუდი, თბილი კაშნე, ჩექმები?... უჰ, როგორ შეფუთნიდხარ!...

ახლა კი გამოდი!
უჰ, რა თოვლია!... უჰ, რა ჰაერია!... უჰ, რა სილამაზეა!...



მხატვარი
ლიკა დემეტრაშვილი



დალი მაზმიშვილი

ამოხანა - მაამოხანა

თავუნებმა თათებით
თამელები ათვალეს,
თითო თავემა თამელი
გადათვალა ათამდე
თურმე თათო თავუნას
ხუთი თავი ჰყოლია.
ხუთჯერ ორი თამელი
სულ რამდენის ტოლია?

მხატვარი
ქეთი ბაინდურაშვილი

აქ თოვლის წაქედიან 2 ენსხვავეჭულია. აჰაჰა ისინი!





სამეგრელოში კალანდის გასათენებლად სამზადისი დღესასწაულის წინა დღეს იწყებოდა. ყოველი მეგრელის ოჯახში დიდი ფუსფუსი იყო. მთელ სახლს საგულდაგულოდ ხეხავდნენ და ასუფთავებდნენ, იმარაგებდნენ სურსათსანოვავებს, შეშას აპობდნენ მთელი სამი დღისთვის, მოვალეებს ისტუმრებდნენ, რათა ახალ წელს ვალიანობა არ დაჰბედებოდათ; კლავდნენ საკალანდო ღორს, რომელსაც ჯერ კიდევ შობის მარხვიდან ასუქებდნენ.

საკალანდო ტაბლაზე საჭმელ-სასმელი უხვად უნდა ყოფილიყო. საჭმელთა შორის საპატიო ადგილი ეჭირა „ბასილას“, ანუ წმინდა ბასილის სახელობაზე სიმინდის ფქვილისაგან გამომცხვარ მჭადს. ახალი წლის მეორე დღეს მეგრელები „კუჩხას“ უწოდებდნენ, რაც ფეხის ან ტერფის დღეს, ფერხობას ნიშნავს.

იმერეთში ახალი წლის წინა დღეს კეთდებოდა ჩიჩილაკი. ამ დღეს სახლში მოჰქონდათ სხვადასხვაგვარი მარადმწვანე და კენკროვანი მცენარეები. ყველაფერ ამას, საახალწლო მოსალოცთან ერთად, დებდნენ გობში. ძილის წინ ყველა, დიდი თუ პატარა, თავქვეშ ერთ ნატეხ შაქარს იდებდა.

ახალ წელს, დილით ადრე, შინაური მეკვლე (ოჯახის წევრი) მისალოცი გობითა და სავსე ხელადით გარეთ გავიდოდა, სახლს სამჯერ ლოცვა-ვედრებით გარს შემოუვლიდა და კარზე დააკაკუნებდა: „რა მოგაქვს?“ – შეეკითხებოდნენ შიგნიდან. „ღვთისა და ბატონის წყალობა, ჯანმრთელობა, პური და ღვინო!“ – უპასუხებდა მეკვლე. „კიდევ რა მოგაქვს?“ – ჰკითხავდნენ შინაურები. „ღვთის სიკეთე და სიმრავლე!“ დაკეტილ კარს მეკვლეს მანამდე არ გაუღებდნენ, სანამ სამჯერ არ გაამეორებინებდნენ, რომ „ადამიანებისთვის სიხარული, ჯანმრთელობა და ბედნიერება“ მოჰქონდა.

ახალი წლის პირველ დღეს არ შეიძლებოდა ცეცხლისთვის სულის შებერვა – მუცლის ბერვა იცისო; თმის დავარცხნა – თხელი ყანა მოგვივაო; სახლს არ დაგვიდნენ – ქარი წაიღებს პურის ნათესებსო და ა. შ.

ამ დღეს ყველა ფრთხილობდა, ცუდი და ავი საქმე არ შემემთხვეს – დამებედებაო...

რაჭაში 31 დეკემბერს გლეხი ოჯახში ერთ მარხილ შეშას მიიტანდა. ამ დღეს უნდა დაეკლათ საახალწლო ღორი, ვისაც ღორი არა ჰყავდა, ნებიერი (ნასუქი მოზვერი). დამე აცხობდნენ საახალწლო „ბაჭულებს“. აცხობდნენ კაც-ბასილას და ერთ დიდ პურს – „კერია-ბერიას“, რომელიც პატარა რკალებით იყო აჭრელებული. ამ ნამცხვრებს ოჯახის მეკვლე – „მაკვრიელი“ – ცხრილზე დაალაგებდა, გვერდზე ერთ ბოთლ ღვინოს მოუდგამდა და ბედელში შეინახავდა.

ბედობა დღეს რაჭაში „ფეხის დაპწნას“ ეძახიან. ამ დღეს ყველა რაჭველის ოჯახში უნდა შესულიყო გარეშე „კლოვიარე“ (მეკვლე). მას მიაგებებდნენ გვერგვს (ჩიჩილაკის ნაირსახეობა) და დოქით ღვინოს.



მესხეთ-ჯავახეთში ახალი წლის წინა დღით ოჯახი შეუდგებოდა მზადებას: იბრუნებდნენ განათხოვრებულ ჭურჭელსა და ავეჯს, რათა ოჯახის დოვლათი და ბარაქა სხვას არ დარჩენოდა, ყველაფერს ასუფთავებდნენ და ალაგებდნენ.

საღამოს დიასახლისი შეუდგებოდა საახალწლო კვერების გამოცხობას. პირველად გამოაცხობდნენ „ბასილას“, რომელსაც გრძელი წვერი და ნიგვზის თვალეები ჰქონდა, დადებდნენ ტაბლაზე და წყალკურთხევამდე ინახავდნენ. შემდეგ აცხობდნენ: „ხარის ქედის“ პურს, მრგვალ კვერებს, ცხვრის „ბუჟუჟუნას“, რომლის ცომს სახრეზე დაახვევდნენ, ასევე შოთის მსგავს „ბედის პურებს“ – შიგ ფულს, აბაზს ან ორშაურიანს ჩადებდნენ. ბედის პურებს მეორე დღეს, ბედობას ჭრიდნენ. ვისაც ფული შეხვდებოდა, იმ წელიწადს წარმატება დაეხვედებოდა.

ბედობას მეკვლე სახლში ტკბილეულით შევიდო-

და და თან დაილოცებოდა:

„შემოვდგი ფეხი გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისაო, შემოვიდა ბასილაო, ეს ოჯახი პურითა და ღვინით ავსილაო“. მას სუფრასთან დასვა მდნენ და უმასპინძლებოდნენ. დედაკაცები მეკვლეს ფეხქვეშ ჩუმად ქერს მიუბნევდნენ, შემდეგ ამ ქერს გამოხვეტდნენ და წინილებს დაუყრიდნენ – ქათმები მომრავლდებო.

ფშავლები ახალი წლის შესახვედრად წინა დღიდანვე ემზადებოდნენ და ამ დღეს „ლიტანია დღეს“ უწოდებდნენ.

ლიტანია დღეს ფშავლები სახლის დასუფთავებას ადრიანად შეუდგებოდნენ, რომ უსუფთაობა არ დაჰბედებოდათ. საკიდზე ქვაბს ჩამოჰკიდებდნენ და ვახშმად ხორცს ხარშავდნენ: ამ დღეს ოჯახი ქვაბშეუკიდებელი არ უნდა დარჩეს, რომ ბარაქა არ გამოეღოსო. საღამოს მოჰქონდათ ნედლი ხის ტოტები და კარის ზღურბლზე აწყობდნენ. ვახშმის შემდეგ ოჯახის დიასახლისი ბედის კვერების ცხობას შეუდგებოდა. ბედისკვერის გამოცხობის დროს ყველა გულისფანცქალით ელოდებოდა, რადგან ამბობდნენ, ვისი ბედისკვერიც გაფუფვდება, ის ბედნიერი იქნებაო.

ლიტანიის საღამოს ოჯახის უფროსი მამაკაცი ხატში მიდიოდა, რომ ხატისთვის „ნელინდობა“ მიელოცა... ხევისბერი სანთლებს აანთებდა და ღამისმთეველებს ამწყალოებდა, შემდეგ ვახშმობდნენ.

მამლის პირველი ყივილისას დიასახლისი ადგებოდა, ჯალაბს ხმიადს გამოუცხობდა და ოჯახის წევრები ერთმანეთს „ნელინდობას“ ასე ულოცავდნენ: „დიდი გიმატოს ღმერთმა, ახალმა წელმა, ახლით წლის გამოცვლამა“. ხმიადს დიასახლისი ხონჩაზე დებდა და მას კერის პირზე მიდგამდა, გარშემო თაფლ-ერბოიან ჯამებს შემოუწყობდა. შემდეგ ოჯახის ერთი წევრი წყალზე წავიდოდა, თან „ნაყრს“ – ყველსა და პურს წაიღებდა, იქ წყალში ჩაყრიდა და იტყოდა: „წყალო, ნაყრი მოგიტანე, ბედი გამომაყოლეო“, ამ წყალსაც დიასახლისი სუფრასთან მიდგამდა და იტყოდა: „ღმერთო, დიდება შენდა, ღმერთო, მაღლი შენდა; ღმერთო, ყველა შენი გაჩენილია, შენ გბარივართ ცოცხალნიცა და მკვდარნიცა“.

ამის შემდეგ დიასახლისი ოჯახის წევრებს თაფლ-ერბოს შეაჭმევდა – „ტკბილად დააბერებდა“, ერთმანეთს ეტყოდნენ, ეგრემც ტკბილად დამიბერდებიო.

მხატვარი
ნუცა ჩაჩანიძე



ღალი
ჯაფარაშვილი

ზამთრის სიმღერა

– ვაწკრიალებ
ეინვის მძივებს,
მზე შორეთში
მივამინე.
ქულა-ქულა,
ფანტელ-ფანტელ,
ციდან თოვლი
ჩამოვფანტე.
თოვლის კაბა
რომ ჩაიცვა,
გალამაზდა
დედამიწა.
ზოგი ფიფქი
ხეზე დამჩა,
ზოგი – სახლის
სახურავზე.
მოვასწორე
ოღროხოღრო,
ხევხუვები
ამოვავსე.
ზვინს ვახუქე
თეთრი ქურქი,
სახურავს კი –
მარაო.

აბუსლუნდა

სახურავი:

– დაუმძიდი და
კმარაო!

– თუ დამძიდი,
ქარს მოვუხმობ,
მკვირცხლს და
თვალეპკეცისას,
აუბერავს,
დაუბერავს,

როგორც ქარის
წესია.

თოვლში
ამოიგანგლება
სტვენიოთა და
სხმარტალით.

მერე ეინვა
გესტუმრებათ,
უჩინარი მხატვარი,
რომ მოქარვოს
თქვენს ფანჯრებზე
ზამთრის თეთრი
ზღაპარი.



დალი მაზმიშვილი

ზიზიპი თუ ცხადი

თბილ ბუნართან გოგო-ბიჭი
როცა თელემდა, მაშინ
თეთრწვერება ღამას სამთარს
არ ეძინა ცაში.

გადმოეგდო ჯადოსნური
თოვლის თეთრი გუნდა
და ხატავდა ფანჯრის მინებს
ეინვის აბლაბუდა.

მხატვარი
ნანა სანაია

თოვლის პაპა

თოვლის პაპის გასაკეთებლად დაგჭირდება:
თეთრი წინდა,
2 ცალი ღილი, ნაჭრის
თასმა კაშნესთვის, ძაფი,
ნემსი, მაკრატელი, შავი
და წითელი მარკერები,
ბრინჯი და, რა თქმა უნდა,
შენი ფანტაზია.



აიღე წინდა და მოაჭერი ზედა, რეზინიანი ნაწილი, და-
ახლოებით, ქუსლს ზემოთ. ქვედა ნაწილი გამოიყენე
თოვლის პაპის დასამზადებლად: აავსე ის ბოლომდე
ბრინჯით და თავი მოუკარი ძაფით. დარჩენილ ზედა
ნაწილს კი ბოლოსკენ ძაფი მოახვიე და მიიღებ პატარა
ქუდს.

ახლა შენი ფანტაზია ჩართე: მოუხატე სახე, გააფორმე
ქუდი და კაშნე.



ანი ხალხი


სახალწლო ქობი

1




სახალწლო სუფრის გასალამაზებლად შეგიძლია შენი ხელით გააკეთო პატარა სახალწლო ქობი. ეს ძალიან ადვილია: მიეცი ნამცხვრის ფირფიტებს სასურველი ფორმა და ათქვეფილი ნალებით (ან თუ დედას ტორტისთვის გამზადებული კრემი მორჩა, შეგიძლია ის გამოიყენო) მიანებე ერთმანეთს ნამცხვარი, ააშენე პატარა ქობი და გააფორმე შენი ფანტაზიით.

2



3



4



შემაღვენლოვა:

1. ნამცხვარი;
2. ათქვეფილი ნალები;
3. კანფეტები გასაფორმებლად.



გიჟოცაშ
მობა-პება ველს!



ყდაზე ნახატი: ნანა სანაიასი
გამომცემელი: ააიპ საბავშვო მწერლობის
განვითარების ასოციაცია
ტელ.: 272-97-67; 293-69-77
<http://www.dila.ge>, [el-fosta: dila1904@yahoo.com](mailto:el-fosta:dila1904@yahoo.com)
ფასი: 2 ლარი